KA011858008322819

06 / ნოემბერი / 2019 წ.

№ 221817

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ ქ. დედოფლისწყაროში, შირაქის შესახვევში (საკ.კ.52.08.35.337) დაგეგმილია საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა. აღნიშნულ რეგიონში წყალმომარაგების განაწილების ლიცენზიანტი კომპანია არის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილების, მე-181 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების განაცხადის წარდგენამდე განმცხადებელი ვალდებულია მოთხოვნილი სიმძლავრის გათვალისწინებით, წინასწარ გადაიხადოს ამავე დადგენილების დანართი № 3-ში ასახული შესაბამისი საფასურის ნახევარი.

ქ. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო პროექტით გათვალისწინებულია დ=63მმ წყალმომარაგების და დ=100მმ წყალარინების მილების მოწყობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების სრული საფასური შეადგენს 3400 (სამიათას ოთხასი) ლარს, ხოლო წყალარინების სისტემაზე მიერთების სრული საფასური შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს. ამავე დადგენილებით ლიცენზიატ კომპანიას ეკისრება ვალდებულება განაცხადის რეგისტრაციიდან არაუმეტეს 50 სამუშაო დღის ვადაში შეასრულოს წყალმომარაგებაწყალარინების სისტემებზე მიერთების სამუშაოები.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს 2200 (ორი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარის გადარიცხვა კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

დანართი: შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო რეკვიზიტები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შესყიდვების სამსახურის მთავარი
სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

ანა ომანაძე